<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2018 წელი

ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქართლის მეფის დაჩი უჯარმელის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) კრწანისის რაიონში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ქართლის მეფის, დაჩი უჯარმელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=483963 Y=4616116
X=483934 Y=4616111
დაჩი უჯარმელის ქ.
X=483985 Y=4616017
X=484012 Y=4616016
X=484005 Y=4615960
1:1,300

მოქ. ზაზა ნანობაშვილი განცხადება
მისამართი: ძმებ- კაკაბაძეების ქ 15
01017008434
555 39 99 23

თბილისის მერს ბ-ნ კახი კალაძეს

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

მოგმართავთ თხოვნით, რომ თბილისის განმასრულებელის (ვახტანგ გორგასლის შვილის) მეფე დაჩის (უჯარმელი) სახელზე ჩვენს დედაქალაქში დაიდგას განსაკუთრებული ბარელიეფი ისტორიის შემცველი მონუმენტალური დაფით (სასურველია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ანჩისხატის ტაძრის მიდამოებთან);

აგრეთვე მეფე დაჩის სახელი დაერქვას ძველ თბილისში მდებარე რომელიმე მნიშვნელოვან ქუჩას, ან სანაპიროს რომელიმე ნაწილს.

საპატრიარქოს შესასწავლად ცალკე წარედგინება წერილი _ მეფე დაჩის (უჯარმელი) წმინდანად შერაცხვის შესახებ, როგორც დედაქალაქის განმასრულებელის, ტაძრების აღმშენებლისა და ქართლში ქრისტიანობის განმავრცელებელი მეფისა.

დღესდღეობით მწირი ინფორმაციაა საზოგადოებაში იმის შესახებ, რომ მეფე დაჩის დასრულებულია ჩვენი დედაქალაქი, მისი აგებულია დედაქალაქის პირველი ანჩისხატის საკათოლიკოსო ტაძარი... იგი პირველი მეფეა , რომელიც დედაქალაქ თბილისში იჯდა სამეფო ტახტზე.

სამწუხაროდ, თბილისში დღესდღეობით არ არსებობს ამ დიდი მეფის საპატივსაცემოდ რაიმე ნიშანი და არც მისი სახელობის ქუჩა.

"დაჩიმ დაასრულა ვახტანგ გორგასლის დროს დაწყებული თბილისის ზღუდის მშენებლობა და მამის ანდერძის თანახმად სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა, მცხეთა დარჩა საკათალიკოსო ცენტრად; მის დროს თბილისში მოსახლეობა მომრავლდა, აშენდა მარიამწმიდის ეკლესია (დღევანდელი ანჩისხატის ტაძარი)."

"ხოლო ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოხრებულ იყვნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი, თვინიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა. და განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ."(ქართლის ცხოვრება, ჯუანშერი. გვ.205)

სხვადასხვა ქვეყნებში ქალაქის უბნების, ქუჩების, სახლების და ბოტანიკური ბაღის ამშენებელის ბარელიეფები და ძეგლები არსებობს.. ჩვენი ქალაქის პირველი პროექტის აღმასრულებელს და განმასრულებელს (ციხეების, ტაძრების, სამეფო რეზიდენციების...) ამშენებელ კაცს თავისი საპატიო სახელი ეკუთვნის.

სურვილს გამოვთქვავთ ამ ინიციატივას თქვენთან ერთად საქმითაც დავუდგეთ გვერდში.

საკითხის ინიციატორი – ზაზა ნანობაშვილი ("თბილისის ძველი ანჩისხატის ტაძრის ისტორიის" ფილმის რეჟისორი; მართლმადიდებელთა საორგანიზაციო კრებულის ხელმძღვანელი)

13.12.17

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031736160**
თარიღი: **27/12/2017**

ადრესატი: ზაზა ნანობაშვილი
პირადი ნომერი: 01017008434
მისამართი: ძმები კაკაბაძეების 15

ბატონო ზაზა,

სახელდებისა დასიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2017 წლის 13 დეკემბრის საქმე N19/031734721-03. რომლითაც ითხოვდით ძველ თბილისში მდებარე რომელიმე ქუჩას მივანიჭოთ მეფე დაჩის სახელი და განთავსდეს ბარელიეფი მემორიალური დაფით.

გაცნობებთ, რომ გარელიების განთავსების ნაწილში თქვენი განცხადება განსახილველად გადაგზავნილია თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში. ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით განგინმარტავთ, რომ ქალაქის ისტორიულ ნაწილში ახალი ქუჩები, რომელთა სახელდებაც შესაძლებელია განხორციელდეს, პრაქტიკულად არ წარმოიქმნება. არსებული ქუჩებისთვის სახელდების შეცვლა კი სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიზანშეუწონლად არ მიაჩნია.

კომისია მზად არის განიხილოს ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ერთ-ერთ ქუჩისთვის (არაისტორიულ ნაწილში) მეფე დაჩის სახელის მინიჭების საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

თ. ნიბლოშვილი

თინათინ
ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031736161**
თარიღი: **27/12/2017**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს
სოფიო ხუნწარიას

ქალბატონო სოფიო,

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა მოქ. ზაზა ნანობაშვილის2017 წლის 13 დეკემბრის საქმე N19/031734721-03.რომლითაც, ითხოვს ისტორიულ თბილისში მდებარე რომელიმე ქუჩას მიენიჭოს მეფე დაჩის სახელი, ასევე ითხოვს თბილისში დაიდგას მეფე დაჩის განსაკუთრებული ბარელიეფი მონუმენტალური დაფით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, შემდგომი რეაგირებისთვის გიგზავნით მოქ. ზაზა ნანობაშვილის წერილს მონუმენტალუეი დაფის განთავსების ნაწილში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე — თ. ნიბლოშვილი — თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-0318193130**
თარიღი: **12/07/2018**
ხელმოწერილია ელექტრონულად
პინი: **2282**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩისთვის დაჩი უჯარმელის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. გიგზავნით ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ქუჩის სიტუაციურ ნახაზს (იხილეთ დანართი).
გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ დაჩი უჯარმელის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-0118197585**
თარიღი: **16/07/2018**
ხელმოწერილია ელექტრონულად
პინი: **2870**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 13.07.2018 წლის #03-0318193130 (13.07.2018წ. #14-01181932883-67)განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

რუსუდან მირზიკაშვილი

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)